



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676 პირადი (საიდენ.) ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
222 38 74		greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	01015010047 18001007618 პირადი ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6 ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
	599902520 599717407	ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2. საქართველოს მთავრობა სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	1. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.#6. 2. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ.#7. ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2017 წლის 29 დეკემბერს შპს RMG Gold-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მოადგილეს და აცნობა, რომ შპს RMG Gold გეგმავს არსებული საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას - მოედნების გაფართოებას. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით 2018 წლის 20 თებერვალს კომპანია გეგმავდა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვას. ასევე, წერილის თანახმად, კომპანიამ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს საინფორმაციოდ წარუდგინა კანონით დადგენილი დოკუმენტაცია.

2018 წლის 25 ოქტომბერს შპს RMG Gold-ის აღმასრულებელმა დირექტორმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომლითაც აცნობა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით უგზავნიდა შპს RMG Gold-ის არსებული საყდრისის გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის დოკუმენტაციას. წერილით, შპს RMG Gold-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მოითხოვა დოკუმენტაციის განხილვა და პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2019 წლის 23 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება №2-71. ბრძანების თანახმად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მეორე დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება).

2019 წლის 11 მარტს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავრობაში და მოითხოვა - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“, მაგრამ უშედეგოდ.

სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობაში წარადგინა 2019 წლის 11 მარტს, მაშასადამე, გასულია ერთი თვე სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამდენად, წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2017 წლის 29 დეკემბერს შპს RMG Gold-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მოადგილეს და აცნობა რომ შპს შპს RMG Gold გეგმავს არსებული საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას - მოედნების გაფართოებას. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით 2018 წლის 20 თებერვალს კომპანია გეგმავდა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვას. წერილის თანახმად, კომპანიამ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად სამინისტროს საინფორმაციოდ წარუდგინა კანონით დადგენილი დოკუმენტაცია.

მტკიცებულება: დანართი 1. შპს RMG Gold-ის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის წერილი.

2. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 25 ოქტომბერს შპს RMG Gold-ის აღმასრულებელმა დირექტორმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომლითაც აცნობა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით, უგზავნიდა შპს RMG Gold-ის არსებული საყდრისის გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის დოკუმენტაციას. წერილით, შპს RMG Gold-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მოითხოვა დოკუმენტაციის განხილვა და პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

მტკიცებულება: დანართი #2. შპს RMG Gold-ის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის წერილი.

3. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 9 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება #2-910 „შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“. ბრძანების თანახმად, შპს „RMG Gold“-ის მიერ წარმოდგენილ, არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, საექსპერტო კომისია შეიქმნა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

მტკიცებულება: დანართი 3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 ნოემბრის #2-910 ბრძანება.

4. ფაქტობრივი გარემოება

იმავე დღეს, 2018 წლის 9 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება #2-911 „შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“.

ბრძანების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „RMG Gold“-ის მიერ წარმოდგენილი იყო არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი პროექტის სირთულის გათვალისწინებით, ასევე საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტროს პოზიციის

თანახმად, აუცილებელი იყო სპეციალისტების მიერ მომხდარიყო პროექტისა და მისი განთავსების არეალის დეტალური შესწავლა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების საფუძველზე ერთი თვის ვადით გაეგრძელებინა შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

მტკიცებულება: დანართი 4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 ნოემბრის #2-911 ბრძანება.

5. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 23 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება №2-71. ბრძანების თანახმად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მეორე დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება).

მტკიცებულება: დანართი 5. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის №2-71 ბრძანება.

6. ფაქტობრივი გარემოება

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2019 წლის 29 იანვრის №09/01-206 წერილის პასუხად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 11 თებერვლის N1389/01 წერილით გადმოგვეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის №2-71 ბრძანება და ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ნაწილი.

მტკიცებულება: დანართი 6. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 11 თებერვლის N1389/01 წერილი.

7. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 11 მარტს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავრობაში და მოითხოვა - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანება - “შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ”.

სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობაში წარადგინა 2019 წლის 11 მარტს, მამასადამე, გასულია ერთი თვე - სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მტკიცებულება: დანართი 7. ადმინისტრაციული საჩივარი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი “შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის #2-71 ბრძანება.

სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის №2-71 ბრძანება - ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „RMG Gold“-ს მიენიჭა არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლის - მოედნების გაფართოების (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) უფლება.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნას ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ადმინისტრაციულმა ორგანომ “შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანების გამოცემისას დაარღვია:

2.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით“.

მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ამ ნორმის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან, როგორც წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ნათლად ჩანს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს RMG Gold-ის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის წერილის საფუძველზე.

2.2 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილი, რომლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

2.3 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-6 მუხლის 1 ნაწილის (ა) ქვეპუნქტი, (გ) ქვეპუნქტი და (ე) ქვეპუნქტი. კერძოდ:

ა) პროექტს უნდა გაეგლო ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა (რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს), რასაც ადგილი არ ქონია.

გ) საზოგადოების მონაწილეობა - გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი.

2.4 ამავე კოდექსის მე-6 მუხლის 2 ნაწილი, რომლის თანახმად, მინისტრი გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას გასცემს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ეტაპების დასრულების შემდეგ - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტს არ გაუვლია მე-6 მუხლის 1 პუნქტით დადგენილი ეტაპები.

2.5 ამავე კოდექსის მე-8 მუხლი - საქმიანობის განმახორციელებელს საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროსათვის უნდა წარედგინა სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად. სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო უნდა უზრუნველყო სკოპინგის განცხადებისა და სკოპინგის ანგარიშის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობა.

სკოპინგის ანგარიშს უნდა მოეცვა:

ა) დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:

ა.ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

ა.ბ) დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა და სხვა) შესახებ;

ა.გ) დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;

ბ) ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში, მათ შორის:

ბ.ა) ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ.ბ) ინფორმაციას შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

გ) ინფორმაციას ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ საბადოს დამუშავების გეგმას (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს), საჭიროების შემთხვევაში;

ე) ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

2.6 ამავე კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნები. სამინისტროს უნდა განეხილა სკოპინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გაეცა სკოპინგის დასკვნას.

საზოგადოებას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, სკოპინგის განცხადების გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, სამინისტროსათვის წარედგინა მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. სამინისტროს კი, სკოპინგის დასკვნის გაცემისას უნდა უზრუნველყო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვას და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინება.

სკოპინგის განცხადების დადგენილი წესით განთავსებიდან არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა სამინისტროს უნდა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებული საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად (საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსებულიყო: სამინისტროსა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდებზე და იმ საინფორმაციო დაფაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის; გაზეთში, რომელიც შესაძლო შემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი); საქმიანობის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას).

ამასთან, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობის განთავსების დრო იმგვარად უნდა განსაზღვრულიყო, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის შედეგად სამინისტროს უნდა გაეცა სკოპინგის დასკვნას, რომელიც მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოპინგის დასკვნით უნდა განსაზღვრულიყო გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულო იქნებოდა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას.

ამასთან, თუ სკოპინგის პროცედურის განხორციელებისას დადგინდებოდა, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება, უნდა გამოყენებულიყო ამ კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურა.

2.7 ამავე კოდექსის მე-10 მუხლი. მხოლოდ სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელს უნდა მოემზადებინა გზშ-ის ანგარიში.

გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო იმ პირის/პირების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხოლო გზშ-ს ანგარიშს უნდა მოეცვა:

ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;

ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;

ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრო მორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

დ.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;

დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);

დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;

დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ კრილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

მ) ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გზმ-ს ანგარიშზე თანდართული უნდა ყოფილიყო:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საბადოს დამუშავების გეგმა (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტი), საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;

ე) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.8 ამავე კოდექსის მე-12 მუხლი. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება - ამ მუხლით დადგენილი არცერთი მოთხოვნა დაცული არ ყოფილა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ წარმოებას უნდა მოეცვა:

ა) ექსპერტიზას;

ბ) საზოგადოებისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობას;

გ) შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში – ამ კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში, გზმ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით მინისტრს უნდა შეექმნა საექსპერტო კომისია, რომელიც მოამზადებდა და შექმნიდან 40 დღის ვადაში (და არა 7 დღის ვადაში, როგორც ეს მინისტრის 2-910 ბრძანებით განისაზღვრა) სამინისტროს წარუდგენდა ექსპერტიზის დასკვნას გზმ-ის ანგარიშის შესახებ.

საზოგადოებას შესაძლებლობა უნდა მისცემოდა ესარგებლა თავისი უფლებით და განცხადების გამოქვეყნებიდან 40 დღის ვადაში სამინისტროსთვის წარედგინა მოსაზრებები და შენიშვნები გზმ-ის ანგარიშთან, დაგეგმილ საქმიანობასთან და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გასათვალისწინებელ პირობებთან დაკავშირებით. ხოლო, სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემისას უზრუნველყო წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში მიღება.

განცხადების ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით განთავსებიდან არაუადრეს 25-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სამინისტროს უნდა ჩაეტარებინა გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო დეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებული საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად (საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსებულიყო: სამინისტროსა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდებზე და იმ საინფორმაციო დაფაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის; გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი); საქმიანობის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას).

საჯარო განხილვა უნდა ჩატარებულიყო დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო განხილვა ღია უნდა ყოფილიყო და მასში მონაწილეობის უფლება საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უნდა ჰქონოდა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესში სამინისტროს უნდა განეხილა და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მიეღო საზოგადოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები, გზშ-ის ანგარიშის შესწავლის შედეგები, შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში – ამ კოდექსის V თავის შესაბამისად განხორციელებული გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შედეგები.

2.9 სრულად უგულვებელყოფილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის IV თავის მოთხოვნები ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

2.10 ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიზანი: ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე; გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და საქმეზე წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით ცალსახად არის დადასტურებული, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანების გამოცემით - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უხეშად არის დარღვეული და უგულვებელყოფილი დასახელებული ნორმის ლეგიტიმური მიზნები.

3. სზაკ-ის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მიღებისას მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, თუმცა ზემოთ მითითებული არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობებიდან გამომდინარე დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ გამოიყენა იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც ჰქონდა მას ეს უფლებამოსილება მინიჭებული.

4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

5. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

6. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უხეშად „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22.10 მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, მიუხედავად იმისა, მიღებულია (გამოცემულია) თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი, თუ თვით ამ საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება (ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2019 წლის 11 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის #2-71 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. სზაკ-ია 183.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

3. სზაკ-ის 201.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

4. სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

სზაკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

5. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

6. სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი 2019 წლის 11 მარტს. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენიდან გასულია ერთი თვე, მაშასადამე, სზაკ-ის 177.2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სახეზეა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2018 წლის 11 მარტის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

7. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს მთავრობამ არ განახორციელა. შესაბამისად არსებობს გასაჩივრებული ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები.

8. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები	
მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
<p>შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.</p> <p>1.</p>	
<p>შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.</p> <p>დაევალოს მოპასუხეს წარმოადგინოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად.</p>	
სხვა სახის შუამდგომლობები	

1. მოთხოვნა

სასამართლოს წინაშე ვშუამდგომლობთ, რომ წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში აღინიშნოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ. კერძოდ: შეჩერდეს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის #2-71 ბრძანების მოქმედება.

არგუმენტაცია:

შუამდგომლობა წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების აღნიშვნის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებს, შესაბამისად სარჩელი მიღებული უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში და ცნობილი უნდა იქნეს დასაშვებად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

ამავე ნორმის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე.

კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

- ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;
- ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;
- გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
- დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;
- ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოდგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
- ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით;

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები არ ექცევა სასკ-ის 29.2 მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალში, ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სარჩელის წარმოებაში მიღებით, მისი მოქმედება ჩერდება ავტომატურად ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კანონმდებელი სასამართლოს არ ავალდებულებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებით დასაბუთოს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მიზანშეწონილობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მხოლოდ კანონისმიერი საფუძველით ხდება სასამართლოს მიერ სადავო აქტის მოქმედების შეჩერება (ადმ. საპ. კოდექსის 29.1 მუხლი, კანონისმიერი შეჩერება, სუსპენზიური ეფექტი).

იმ შემთხვევაში, მიუხედავად ზემოაღნიშნული დასაბუთებული მსჯელობისა სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობას წარმოვადგენთ ასევე სასკ-ის 29.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძველით. კერძოდ, წინამდებარე სარჩელის სამართლებრივ საფუძველებში წარმოდგენილია საფუძველიანი და დასაბუთებული მსჯელობები, რომლებიც დამტკიცებულია სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით და რომლებითაც ცალსახად არის დადგენილი, რომ განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულად არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ და მაშასადამე, - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის #2-71 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 აპრილის ვირტუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების სასკ-ის 29.3 მუხლით განსაზღვრული შეჩერების წინაპირობა.

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

— არაქონებრივი ლარი

სახელმწიფო ბაჟი

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. [სახაზინო კოდები](#))

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის

საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის

საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის

საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ მტკიცებულება: იხ. ადმინისტრაციული საჩივარი.

არა რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გემლევით შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულად განჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოს გარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობებით:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 14.00-18.00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. შპს RMG Gold-ის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის წერილი - 1 ფურცელი;
2. შპს RMG Gold-ის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის წერილი - 1 ფურცელი;
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 ნოემბრის #2-910 ბრძანება - 2 ფურცელი;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 ნოემბრის #2-911 ბრძანება - 2 ფურცელი;
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის №2-71 ბრძანება - 13 ფურცელი;
6. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2019 წლის 11 თებერვლის N1389/01 წერილი - 2 ფურცელი;
7. 2019 წლის 11 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობას - 13 ფურცელი;
8. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
9. რწმუნებულება - 2 ფურცელი;
10. სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის ქვითარი -1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 59

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

